საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 11

05 სექტემბერი 2023 წ

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ეკა მაგრაქველიძე, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი; რუსუდან კოვძირიძე;. ნატალია ასათიანი,

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ;(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-282322286 წერილი, 10.08.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

5. ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2823247109 წერილი, 04.09.2023 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ", რომელმაც პარალელურად გამოიწვია ცვლილება შესაბამის სამსახურის დებულებებში.

მოგეხსენებათ 2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ, მისი უფლებამოსილების ქვეშ არსებული ტერიტორიის მართვის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ სამართალდარღვევებზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების გაზრდას. ასევე, გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტებზე მოხდება დაუყოვნებლივი რეაგირება. ასევე, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება გამოიწვევს, ერთი მხრივ, მოსახლეობის მხრიდან

მუნიციპალიტეტის მიმართ ნდობის გაზრდას, რადგან ის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ყოველგვარი ზედმეტი ბარიერების გარეშე განახორციელებს საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ უფლებამოსილებას.
მუნიციპალიტეტი იქნება უფლებამოსილი თავად განსაზღვროს სამართალდამრღვევი სუბიექტისათვის სახდელის გამოყენების საკითხი და სახდელის შეფარდებაზე უფლებამოსილი ორგანო, რაც ამ ცვლილებამდე სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა, ეს ყოველივე გამოიწვევს რაიონული სასამართლოებისათვის ამ კატეგორიის საქმეების რაოდენობის შემცირებას.

ცვლილება ითვალისწინებს, როგორც კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შინაარსობრივ ცვლილებას, ისე უფლებამოსილ ორგანოებს შორის კომპეტენციების ახლებურ გადანაწილებას. აგრეთვე, ის ითვალისწინებს თანმდევ ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს. ცვლილებების მეშვეობით, მუნიციპალიტეტი აღიჭურვება იმ კომპეტენციით, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობით, გააჩნდა სასამართლოს სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით - კონკრეტული სამართალდარღვევების შემთხვევაში სამართალდამრღვევს დააკისრონ შესაბამისი სახდელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 აპრილის №7 (www.matsne.gov.ge , 010250020.35.126.016298, 08.04.2019): და ,,ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით და 43-ე მუხლის პირველი ნაწილით და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ოქმის შედგენაზე უფლებამოსილების მინიჭებისა და საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის-მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №29 (www.matsne.gov.ge, 010250020.35.126.016271, 11,04,2018) დადგენილებები და დამტკიცებული იქნას საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:
იზა მაგრაქველიძემ, ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების, მათი შინაარსის, შედგენის, გამოყენების, ჩაბარებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

3.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ნინო ჩხიკვაძემ, კობა კაცაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის -ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

4. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: იზა მაგრაქველიძემ, ჯემალ ისაკაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

5. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში " თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენილ ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების , წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში " - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ ცვლილებით აღნიშნულ დადგენილებას ემატება 6[1] მუხლი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო გრანტის მფლობელი სტუდენტების დაჯილდოების წესი.

აზრი გამოთქვეს: ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის

დაფინანსების წესში “ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მუხლი 2. დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: